რაც შეეხება მიშენებებს, მიუხედავად იმისა, რომ მოდელირებამ არ გამოავლინა გზის მშენებლობის შედეგად გამოწვეული ვიბრაციის მიერ მიშენებების დაზიანების რისკი (ვარაუდობენ, რომ სხვა ვიბრაციის გამომწვევი აპარატი ან მეთოდი, რომელიც შედიოდა ამ პროექტში იქნება პრაქტიკაში გამოყენებული) მიშენებები, რომელთა უმეტესობა თავდაპირველად აშენებულია არსებითი საინჟინრო პრაქტიკის უგულვებელყოფით, მძიმე მდგომარეობაში იმყოფება. აქედან გამომდინარე, გამორიცხული არ არის, რომ გზის მშენებლობასთან დაკავშირებული ვიბრაციის სხვა ფაქტორებმა (მაგ. სეისმური აქტივობა, მობინადრეთა მიერ დამატებითი მიშენებების დამატება, სხვა სახის მშენებლობები ან ნიადაგის სამუშაოების დანამატების შემდგომი მოდიფიცირება, ან მათი კომბინაცია), გამოიწვიოს მიშენების დაზიანება, მაგრამ შენობების მობინადრეები კვლავ შეიძლება აცხადებდნენ, რომ დაზიანების მიზეზი გზის მშენებლობაა. მიუხედავად იმისა რომ ასეთი ვარაუდი შეიძლება იყოს გამოთქმული და დამტკიცებული, ცალსახაა რომ მიშენებები არ არის მოსახლეობისთვის უსაფრთხო მათი მშენებლობის დაწყებიდანვე და უსაფრთხოების ეს პრობლემა გადაჭრილ უნდა იქნეს.

შესაბამისად, ზემოთხსენებულ დასკვნებზე დაყრდნობით გაცემულია შემდეგი რეკომენდაციები:

1. ვიბრაციის დონის შეზღუდვები და კონტრაქტორის საქმიანობის მონიტორინგი შესაბამისი ნორმების დაცვის მიზნით. მოდელირება ჩატარდა კონსერვატიულად (მაქსიმალური ზიანის და ყველაზე უარესი სიტუაციის გათვალისწინებით) და დასკვნები და რეკომენდაციები კონსერვატიულადაა განსაზღვრული, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი უსაფრთხოების ზღვარი ისედაც გათვალისწინებულია კონსერვატიული მიდგომით. მოდელირება განხორციელდა აპარატურის, მშენებლობის მეთოდისა და საგზაო და სამშენებლო ვიბრაციის მონაცემების დაფიქსირების დროს, რომელიც თვალნათლივ იყო მითითებული Dohwa-ს მიერ მომზადებულ დეტალურ საპროექტო დოკუმენტებში. ზემოთხსენებული დასკვნები ძალაში იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ

მხოლოდ Dohwa-ს მიერ გამოყენებული მეთოდი და აღჭურვილობა იქნება გამოყენებული. გათვალისწინებული.

შესაბამისად სავალდებულოა, რომ:

a. კონტრაქტორმა მკაცრად დაიცვას სამართლებრივი პასუხისმგებლობა მშენებლობის მეთოდების და სამშენებლო მოწყობილობების მიმართ, პატივი სცეს სამშენებლო ფართის საზღვრებს მშენებლობის დროს. კონტრაქტორმა უნდა მოიპოვოს დამქირავებლის თანხმობა (MDF) სამშენებლო მეთოდის ნებისმიერ სახეცვლიებაზე ან დასაშვები დანადგარების სიაში არშემავალი დანადგარის გამოყენებაზე ან სამშენებლო ფართის საზღვრების გადალახვაზე.

b. საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე მსგავს შემთხვევებში, მუდმივი ზედამხედველობა უნდა გაეწიოს სამშენებლო პროცესს და უზრუნველყოფილ იქნას კონტრაქტორის მიერ პუნქტში- ა - გათვალისწინებული ნორმების დაცვა. ზედამხედველობა უნდა მოიცავდეს პრობლემის სასწრაფოდ იდენტიფიცირების მექანიზმებს და უფლებამოსილი ზემდგომი ორგანოების მიერ სამუშაოების შეჩერების უფლებას, ნორმების დაარღვევის დაფიქსირებას და სავალდებულო გამოსასწორებელი ღონისძიების ჩატარების მოთხოვნას კონტრაქტორისათვის.

1. 2. <u>**მიშენებების გამაგრება**</u>: მიუხედავად იმისა, რომ მოდელირებამ აჩვენა, რომ მიშენებების დაზიანების რისკი არ არსებობს, რომ მიშენების მდგომარეობა, რომელიც გამოწვეულია მისი არასწორი დიზაინით, პრაქტიკული სიძნელეები, რომ გზასთან დაკავშირებული საქმიანობა არ იყო დაზიანების მიზეზი, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, უსაფრთხოების ნაკლებობა მიშენებების თავდაპირველი მშენებლობის დღიდან - რეკომენდირებულია მიშენებების გამაგრება. გამაგრებითი სამუშაოების საინჟინრო დიზაინი რომელიც შესაბამისობაშია NEP Srl. შეიძლება იყოს გამოყენებული გამაგრებითი სამუშაოების ჩატარების დროს. შემოთავაზებული მეთოდი ეფექტურია, ყველაზე ეკონომიურია და მოკლე ვადაში განხორციელებადი.

3. ტექნიკური მონიტორინგის კამპანია: მოცემული საქმის სამართლებრივი მგრძნობელობის და გამოცდილების გათვალისწინებით, რომელიც ეფუძნება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას, რეკომენდირებულია ზუსტი ტექნიკური მონიტორინგის კამპანიის წარმოება დამქირავლებლისათვის (MDF) რათა ფლობდეს სამართლებრივად უტყუარ მონაცემებს ვიბრაციის დონეების /დაზიანებების შესახებ მობინადრეების მხრიდან წარდგენილი

პრეტენზიების შემთხვევაში გამოსაყენებლად, ან საჭიროების შემთხვევაში კონტრაქტორის იურიდიული პასუხისმგებლობის საკითხის დასაყენებლად. მონიტორინგის გეგმის ჩამოყალიბება NEP Srl-ის დავალების თანახმად, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მსგავსი კამპანიის წარმოების დროს.

5. ახალი გზების მშენებლობით გამოწვეული ვიბრაციები

როგორც ზემოთ აღინიშნა, მაქსიმალური სიჩქარის სიდიდე (მმ / ს) გზის ზღვრიდან (ცხრილი 10) 3.65 მ-ით იზომება 1.45 მმ / წმ.

დამატებითი დავალება 2-ის ერთ-ერთი მოთხოვნა იყო, რომ ჩატარებული კვლევის ანალიზის და დასკვნების დადასტურების მიზნით, ყოველთვის როცა მეთოდოლოგიურად შესაძლებელი იქნებოდა, მომხდარიყო საველე მონაცემების შყვანა სხვა მეთოდოლოგიურად სანდო მოსაზრებების მაგივრად ანალიზში, ადრე

ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, უპირველესად მიღებულ იქნა ვიბრაციის მაჩვენებლები, რომლებიც წარმოდგენილი იყო მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოში (წყარო: ტრანსპორტის მორაობის შედეგად გამოწვეული ვიბრაცია შენობებში. Osama Hunaidi. კანადის ეროვნული კვლევითი საბჭო. ISSN 1206-1220 სამშენებლო ტექნოლოგიების მიმოხილვა No. 39. ივნისი 2000წ.). მეორეს მხრივ და რაც მნიშვნელოვანია, მოხდა არსებული გზით გამოწვეული ვიბრაციის ამპლიტუდის გაზომვა (დავალება 1 , სამუშაოთა აღწერილობა) ისე, როგორც ეს ქვემოთაა მოცემული. ამ ორის ერთმანეთთან შედარებამ აჩვენა (რომელიც მოცემულია ცხრილში „დინამიური ვიბრაცია“) რომ საველე გაზომვების მონაცემები თითქმის 2- ჯერ მაღალია ვიდრე მეთოდოლოგიური მაჩვენებლების წყაროები. შესაბამისად, სრული კონსერვატიული მიდგომით, ვიბრაციის სიჩქარის უმაღლესი მაჩვენებლები იქნა შეყვანილი გზების ექსპლუატაციით მიყენებული ზიანის მოდელირებისას.

ვიბრაციის გაზომვების შედეგების მიღება

მონაცემები მიიღება შემდეგი სტანდარტების მიხედვით:

- SO/FDIS 4866 – მექანიკური ვიბრაცია და იძგი, მყარი კონსტრუქციების ვიბრაცია , ვიბრაციების გაზომვის და კონსტრუქციებზე მათი ზეგავლენის შეფასების შესახებ სახელმძღვანელო”

სენსორები დამონტაჟებულ იქნა გზაჯვარედინთან ახლოს შენობა # 10-ი ს საძირკველთან. სურათი (Fig.17).



ნახაზი 11. აქსელერომეტრების განლაგება, რომლებიც საგზაო მოძრაობისაგან გამოწვეული ვიბრაციების გასაზომად არის განთავსებული

სენსორი n.1 (ACC#1) მდებარეობს შენობა #10-თან და სენსორი n.2 (ACC#2) მდებარეობს არსებულ გზასთან, 3.5 მეტრზე გზის კიდედან და 27სმ-ით მოშორებული ACC#1-ს.



ნახაზი 12 ACC#2 –
არსებული გზა

აღჭურვილობა

გამოყენებულ იქნა სადენიანი სენსორული ქსელი, რომელიც შედგება შემდეგი ელემენტებისაგან:

პიეზოელექტრული სენსორების ინტეგრირებული ელექტრონული პიეზოელექტრული IEPE) KS48C-MMF , ძაბვის სენსიტიურობა 1V/g და გაზომვის დიაპაზონი ±6g.

(კალიბრაციის სერტიფიკატი აღებულია შემოწმებამდე 40 დღით ადრე)

		KB12	KB12VD	KS48C	
Output		Charge	IEPE	IEPE	
Piezo Design		Bender	Bender	Shear	
Charge Sensitivity	R_{qa}	6500±20%	-	-	pC/g
Voltage Sensitivity	R_{va}	-	10 000±10%[1]	10 000±15%[1]	mV/g
Range	A_L / A_u	±3	±0,6	±6	g
Destruction limit	a_{max}	200	200	1000	g
Linear Frequency Range	f_{-3dB} $f_{-10\%}$ $f_{-5\%}$	260 160 130	0,08.. 260 0,16.. 160 0,25.. 130	0,1 .. 4000 0,2 .. 2600 0,3 .. 2000	Hz Hz Hz
Resonant Frequency	f_r	>0,35(+15dB)	>0,35(+15dB)	>7 (+15dB)	kHz
Noise Densities	0,1Hz a_{nd} 1 Hz a_{nd} 10 Hz a_{nd} 100Hz a_{nd}	- - - -	0,3 0,06 0,03	1 0,6 0,1 0,06	µg/√Hz µg/√Hz µg/√Hz µg/√Hz
Costant Current Supply	I_{const}	-	2 .. 20	2 .. 20	mA
Output impedance (I_{const} = 4mA)	r_{out}	-	< 130	<130	Ω
Operating Temperature Range	T_{min}/T_{max}	-20/80	-20/80	-20/120	°C
Temperature Transient Sensitivity	b_{ta}	0,01	0,002	0,0005	ms^2/K
Acoustic Noise Sensitivity	b_{pa}	0,1	0,1		ms^2/kPa
Weight (no cable)	m	150/5,3	150/5,3	165/5,8	g/oz
Mounting Thread		M5/M10	M5/M10	M8	
Case Material		Alluminio	Alluminio	Acciaio INOX	

ნახაზი 13 პიეზოელექტრული სენსორები KS48C-MMF

- ციფრული ჩამწერი (DaTa500), რომელიც შედგება 24-ბიტიანი ციფრული სიგნალის პროცესორისგან (DSP), ადაკბილვის შემცირების ფილტრის ანალოგისგან და მიღების მაღალსიხშირიანი დიაპაზონისგან (0.2Hz to 200kHz).

Dati Tecnici Generali	
Numero Canali	8 Canali simultanei
Segnali Misurabili	Tensione, Ponte Intero (IEPE, Charge, Termocoppie e RTD /adattatore MSI
Risoluzione	24 bit
ADC tipo	Sigma - Delta
Frequenza Acquisizione	10 to 200 000 Hz 204.8 kS/s
Ingoi Range	Voltage ±0,01 V, ±0,1 V, ±1 V, ±10 V,
	Voltage via adattatore MSI
	Ponte Intero ±10 mV/V, ±100 mV/V, ±1000 mV/V
	Half bridge
	IEPE – MSI adapter ±0,1 V, ±1 V, ±10
	Termocoppie (-200°C a 1000°C e da 0 a 6.5kOhm)
DC Accuracy	10V range: 0,1% del valore, +1 mV 1 V range: 0,1% del valore, +0,5 mV 100mV range: 0,1 del valore, +0.1 mV 10mV range: 0.1% del valore, +0.1 mV
Tensione Sensori	±5 V 0.1% @ 100mA, 12V@600mA per singolo canale
Protezione Sovraccarico	±0 70V

Caratteristiche Dinamiche	
Rumore Segnale @fs<1000Hz	< -100 dB
Crosstalk	< -100 dB
Ambiente di lavoro	
Temperatura Operativa	0 to 50 °C
Temperatura Storage	-20 to 70 °C
Umidità Relativa	10 to 90%
Vibrazione	MIL-STD 810F 516.5
Shock - Urto	MIL-STD 810F 516.5
Dimensioni	
Dimensioni	223 x 78 x 45mm
Peso	0,72 Kg
Consumi	
Consumo tipico	5 W
Massimo consumo sensori	6 W
Requisiti Sistema	
Interfaccia	USB 2.0
Sistema Operativo	Windows XP, Vista, 7
Sistema - Hardware	PC completo di software DeVSoft

ნახაზი 14 ციფრული ჩამწერი (DaTa500)

- RG58 კოაქსიალური კაბელების ხაზი სელერომეტრიდან მრიცხველამდე;
- M28 და M32 სიგნალის გარდამქმნელი სიხშირის დიაპაზონით 0.1 დან 100kHz მდე და რეგულირებადი მაჩვენებელი.

	M28	M32
Input	IEPE—BNC connettore	
IEPE Sensors Alimentazione	Shear	
Indicazione Stato sensore	Tre Indicazioni LED: circuito aperto=off ; OK=giallo; Corto Circuito=rosso	
Guadagno	1 ± 0,5%	1 /10/100 ± 1% typ; ± 2% max
Livello Output	> ± 10_{pp} (in funzione del sensore)	> ± 10_{pp}
Rumore Output	< 1 μV_{eff} (2 .. 25kHz) < 1 μV_{pp} (2 .. 25kHz)	< 1 mV_{eff} (1 .. 50kHz) < 1 mV_{pp} (1 .. 50kHz)
Frequency Range (-3dB)	0,1 Hz .. 100 kHz	0,1 Hz .. 30kHz
Filtro Low Pass	-	Modello Plug-in serie FB2*
Tipologia Filtro	-	4 poli, butterWorth >70dB
Alimentazione	5 .. 26 VDC / 100mA	5 ..26 VDC / 200mA
Connettore Alimentazione	DIN 453232 circolare—bananaplug	
Range Temperatura	-10 .. 55 °C, 95% Umidità relativa	
Dimensioni	53x59x44 mm^3	56x59x44 mm^3
Peso	120g	170g
Accessori	2 banana plug filettati	
Accessori - Opzionali	FB2 Modulo Filtro Low Pass (30Hz) M28/32 DIN adattatore Barra DIN PS500 Alimentatore 500mA PS1600 Alimentatore 1,6A	

Assemblato M32—M28

ნახაზი 15 M28 და M32 სიგნალის გარდამქმნელი

მიღებული მონაცემების ანალიზი

მონაცემები მიიღება 1.000ჰც სიხშირით. დროის დიაგრამამ უჩვენებს საგზაო მოძრაობით გამოწვეული ვიბრაციების მაქსიმუმს. . აჩქარება (mm/s^2) ინტეგრირებულია სიჩქარის მიღების მიზნით (მმ/წმ).



Figure 16 Time histories of traffic-induced vibrations



ნახაზი 17 საგზაო მოძრაობით გამოწვეული ვიბრაციის დროის დიაგრამა

Figure 17 Time histories of traffic-induced vibrations

Figure 17 Time histories of traffic-induced vibrations

შედეგად, სიჩქარის ძირითადი მნიშვნელობა დაფიქსირებულია 8.25 წუთზე, სიჩქარის ამპლიტუდით, რომელიც ტოლია **0.884მმ/წმ** გზასთან მიმართებაში (ACC#2).

საგზაო მოძრაობიდან გამოწვეული ვიბრაციების დასაანგარიშებლად, კონსერვატიულად, მაქსიმალური მნიშვნელობა მეთოდოლოგიური მნიშვნელობიდან ტოლია **1.45მმ/წმ , როგორც ეს მოცემულია ქვემოთ:**

ზემოთ მოცემული 3 ფორმულის გამოყენებით მაჩვენებელი გარდაქმნილია ერთიან სკალად დბ-ში, რომელიც შეესაბამება აჩქარების დონეს (დბ) (dB) და უდრის **94დბ** როგორც ქვემოთაა ნაჩვენები:

$$L_a = L_v - 29 = 20log\left[\frac{1.45}{10^{-6}}\right] - 29 = 94\text{dB}$$

გასაანგარიშებლად საწყისი მაჩვენებელი იქნა გამოყენებული სიმულირებული დაჩქარებული კოეფიციენტის მისაღებად თითოეულ მიმღებში (შენობები).

ინდივიდუალური შენობების ანალიზი

ზემოთხსენებული მონაცემების გამოყენებით, მოხდა მიმღებში (შენობები) ვიბრაციის ამპლიტუდის დაანგარიშება.

ცხრილი 14 გვაჩვენებს საგზაო მოძრაობის დროს ვიბრაციის ამპლიტუდის დონეს და სტანდარტებით დადგენილ ზღვრებს - ყოველი შენობისა და მიშენებისთვის.

შენობის კოდი	მაქსიმალური მანძილი გზიდან	წყარო		მიმღების ვიბრაციის	
				მთავარი შენობა	დანამატი
	საგზაო	მანძილი (X0) m	საგზაო	საგზაო	
2	9	94.00	3.65	70.62	74.62
3	22	94.00	3.65	65.19	69.19
4	19	94.00	3.65	66.65	70.65
5a	27	94.00	3.65	62.94	66.94
5b	27	94.00	3.65	62.94	66.94
5c	27	94.00	3.65	62.94	66.94
6	30	94.00	3.65	61.66	65.66
7	52	94.00	3.65	51.27	55.27
8	57	94.00	3.65	49.51	53.51
9a	80	94.00	3.65	43.76	47.76
9b	80	94.00	3.65	43.76	47.76
10	87	94.00	3.65	41.48	45.48

ცხეილი 14, შემაჯამებელი ცხრილი მიმღებთან სიმულირებული ვიბრაციის ამპლიტუდის შეფარდება სტანდართებთან Standards (DIN 4150-3) - საგზაო მოძრაობა

შენიშვნა: სვეტი „კატეგორია 2 გრძელი-მოკლე ხანგრძლივობა (dB)" შენობის კატეგორიიდან გამომდინარე შეიცავს გრძელ და მოკლე

ვიბრაციის სახეებს. DIN 4150-3 - ის მიხედვით ეს ნაჩვენებლები ერთნაირია.

დასკვნები და რეკომენდაციები ახალი გზის მშენებლობით გამოწვეული ვიბრაციების შესახებ

როგორც მოსალოდნელი იყო, ზემოთხსენებული მონაცემების გაანალიზების შედეგად ირკვევა, რომ ახალ საავტომობილო გზაზე მოძრაობის შედეგად გამოწვეული ვიბრაციები (ვიბრაციის სიჩარით შეფასებული) უფრო დაბალია ვიდრე საცხოვრებელი კორპუსებისათვის სტანდარტით დაშვებული ზღვარი UNI 9916 / ISO 4866 . ზემოქმედების მოდელირების შედეგების შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ ახალ გზაზე საგზაო მოძრაობით გამოწვეული ვიბრაციების მიერ მიყენებულ ზიანს არ აქვს პირდაპირი ზემოქმედება არც შენობებზე და არც მიშენებებზე.

თუმცა, იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ მიშენებებს აქვს სუსტი კონსტრუქცია, სამომავლოდ ახალი გზის მოვლა-პატრონობის სამუშაოები (როგორც ვიბრაციის შემამსუბუქებელი მექანიზმი და ამავდროულად ვიბრაციის წყარო) უნდა იქნას შეტანილი დასკვნებსა და რეკომენდაციებში.

კონკრეტულად გაცემულია შემდეგი სახის რეკომენდაციები:

მიშენებების გამაგრება : (იგივე რაც თვითნებური მიშენება შენობაზე) იგივე რეკომენდაციები მოქმედებს ამ შემთხვევაშიც, რომლებიც გაცემულია სამშენებლო სამუშაოების დროს ვიბრაციით გამოწვეული ზიანის შესახებ. მიუხედავად ამისა, მოდელირებამ აჩვენა, რომ არ არსებობს მიშენებების დაზიანების რისკი, რომელიც გამოწვეულია მისი არასწორი დაპროექტებით, პრაქტიკული სიძნელეები, რომ გზასთან დაკავშირებული საქმიანობა არ იყო დაზიანების მიზეზი, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, უსაფრთხოების ნაკლებობა მიშენებების თავდაპირველი მშენებლობის დღიდან - რეკომენდირებულია მიშენებების გამაგრება. გამაგრებით სამუშაოებთან დაკავშირებული ტექნიკური პროექტი, რომელიც შესაბამისობაშია NEP Srl., შეიძლება იყოს გამოყენებული გამაგრებითი სამუშაოების ჩატარების დროს. შემოთავაზებული მეთოდი ეფექტური, ყველაზე ეკონომიური და მოკლე ვადაში განხორციელებადია.

2. **გზის ზედაპირის დაზიანება - მზარდი ვიბრაციის თავიდან აცილების მიზნით გასატარებელი ღონისძებები.** დროთა განმავლობაში, გარემოსდაცვითი ფაქტორებიდან გამომდინარე, გზის საფარი ზიანდება, მათი უმეტესობა (ორმოები) იწვევს ვიბრაციას. გზის საფარის ხარისხი საჭიროებს რეგულარულ მონიტორინგს, იმისათვის რომ თავიდან იქნას აცილებული უზუსტობანი, დროულად შეკეთდეს

დაზიანებული გზა და გადატვირთული მოძრაობის გამო არ მოხდეს ვიბრაციის ზრდა ახალ გზაზე . ადეკვატური რესურსები უნდა იყოს გამოყოფილი ახალი გზის - ფონიჭალის მონაკვეთის - შეკეთებისათვის, პრევენციული თუ სარემონტო სამუშაოების სახით.

3. ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი მ ო ნ ი ტ ო რ ი ნ გ ი ს წ ა რ მ ო ე ბ ა : მონიტორინგი შესაძლოა ჩატარდეს პერიოდულად (თუ მუდმივად არა), გზის ექსპლუატაციიდან პირველი 12-18 თვის მანძილეზე, რაც საშუალებას მოგვცემს განისაზღვროს ნიმუში და მიღებულს იქნას შემდგომი ტექნიკური მონიტორინგის საშუალებები. დამატებით, თუ ტექნიკური მონიტორინგი არ გაგრძელდება, შესაძლებელია შესაბამისი სენსორების დაყენება და მონაცემების დაფიქსირება სარემონტო სამუშაოების დროს რათა უზრუნველყოფილ იქნეს ნორმების დაცვა კონტრაქტორების მიერ.

6. ხმაურისშემარბილებელი კონსტრუქციებისშენებლობითგამოწვეული ვიბრაცია

ხმაურის შერბილების ზომები

ამ განყოფილებაში მოცემულია 2017 წლის 29 აპრილის პროექტის ანგარიში „ ხმაურის მოდელირება თბილისი - რუსთავის გზატკეცილზე“ (მონაკვეთი 2), DRC და 4EMME-თან ერთად პროქტის სამუშაოთა შესრულებისათვის საჭირო ანალიზის გასაკეთებლად და რეკომენდაციების მისაღებად. ანგარიშში შეფასებულია ხმაური, რომელიც წარმოიქმნება შეთავაზებული მონაკვეთის 2 ახალ სეგმენტიდან, განსაკუთრებით მის დასავლეთ ნაწილში, სადაც შენობები უფრო ახლოსაა ერთმანეთთან და ხმაურის დონეები შეიძლება გამოიწვიოს შეშფოთება.

ანგარიშში წარმოდგენილია ხმაურის შემცირების ოთხი შემარბილებელი ვარიანტი, რომელიც წარმოდგენილია ქვემოთ:

- **W (ხმაურის შემცირების კედელი მაქსიმალური სიმაღლით- 8 მეტრი)** . ამ 2 ხმაურის შემაკავებელ ბარიერში რეკომენდირებულია: პირველი ბარიერი იყოს 6 მეტრის სიმაღლის და 988 მ სიგრძის, ხოლო მეორე -8 მეტრის სიმაღლისა და 640 მ სიგრძის (სურათი 18). მიუხედავად მათი ზომებისა, ეს ბარიერები ვერ უზრუნველყოფს ხმაურის სრულად ჩახშობას და შესაბამისად საჭირო გახდება 5 შენობის გადატანა.



სურათ 18, ხმაურის შემამცირებელი კედელის განლაგება და გასათვალისწინებელი ნორმების სტატუსი(მაქსიმალური სიმაღლე- 8 მეტრი)

- **W’(ხმაურის შემცირების კედელი მაქსიმალური სიმაღლით - 9 მეტრი).** ამ შემთხვევაში ღეკომენდებულია ხმაურის შემცირების 3 კედელი - პირველი 6 მ სიმაღლის და 1,120მ სიგრძის, ხოლო მეორე 8მ სიმაღლის და 240 მ სიგრძის (სურათი 19). ეს კედელები ვერ შეამცირებენ ხმაურს დასაშვებ ზღვრულ დონემდე და შესაბამისად 4 შენობის გადატანა გახდება საჭირო.



ნახაზი 19, ხმაურის შემამცირებელი კედელის განლაგება და გასათვალისწინებელი ნორმების სტატუსი(მაქსიმალური სიმაღლე 8 მეტრი)

- **W + IRS (ხმაურის ჩამხშობი კედელი გზის გაუმჯობესებული ზედაპირით).** ამ შემთხვევაში რეკომენდებულია ხმაურის ჩამხშობი კედლის და გზის გაუმჯობესებული ზედაპირის მოწყობა. კედელი იქნება 5 მ სიმაღლის და 1,628 მ სიგრძის (სურათი 20). მიუხედავად მოკლე სიგრძისა, დაახლოებით 26%-ით ნაკლები ვიდრე წინა შემთხვევაში (მხოლოდ ხმაურის ჩამხშობი კედელი); საჭირო იქნება სტანდარტული ასფალტის შეცვლა ფოროვანი ასფალტით, იმისათვის რომ მოხდეს ხმაურის შემცირება წყაროსთან, რომლიც საერთო სიგრძე შეადგენს 1.6 კმ-ს.



ნახაზი 20. ხმაურის შემამცირებელი კედლის განლაგება და გასათვალისწინებელი ნორმების სტატუსი(მაქსიმალური სიმაღლე- 8 მეტრი)

- **W + T (ხმაურის ჩამხშობი კედელი გვირაბით).** ბოლო ვარიანტი საჭიროებს ერთი გვირაბის და ხმაურის შემამცირებელი კედელის აშენებას, როგორც ეს ნაჩვენებია სურათზე 21. გვირაბი გადაჭიმული იქნება 560მ სიგრძეზე და დაფარავს ყველა ხაზს. მისი სიგრძეა 5 მ., რომელიც იგივეა რაც გვირაბი სარკინიგზო ხაზის ქვევით. ხმაურის შესამცირებლად 2 ასეთი კედელია საჭირო: 5მ სიმაღლის და 880 მ სიგრძის, მეორე - 8მ სიმაღლის და 188მ სიგრძის.



ნახაზი 21, ხმაურის შემამცირებელი კედელის განლაგება და გასათვალისწინებელი ნორმების სტატუსი(მაქსიმალური სიმაღლე 8 მეტრი)

ტიპიური ხმაურის შემამცირებელი გვირაბის მაგალითები მოცემულია ნახაზებზე 22 და 23

ნახაზი 22. ტიპიური გამჭვირვალე ხმაურის შემამცირებელი კედელი

ნახაზი 23 გვირაბის ხმაურის
ტიპიური ბარიერი

ხმაურის შემამცირებელი კონსტრუქციების მშენებლობამ ცხადყო, რომ მიუხედავად ალტერნატივების და მათი შესაძლო კომბინაციებისა, საჭიროა ბარიერების სვეტების გასამაგრებლად მათი ფიქსირება და ამოშენება. სვეტების სიგრძე და რაოდენობა დამოკიდებულია სტრუქტურის სახეობასა და განლაგებაზე. ცხრილში 15 ნაჩვენებია რეკომენდირებული მინიმალური მანძილი ხმაურის ბარიერსა და შენობას შორის.

შენობის	პროგრესული მანძილი	მინიმალური მანძილი	მინ. მანძილი ხინჯებიდან ხმაურის
2	5Km +	9	6
3	5Km +	2	19
4	5Km +	1	16
5a	5Km +	2	24
5b	5Km +	2	24
5c	5Km +	2	24
6	5Km +	3	27
7	5Km +	5	49
8	5Km +	5	54
9a	5Km +	8	77
9b	5Km +	8	77
10	5Km +	8	84

ცხრილი 15. მანძილი გზიდან და შენობისთვის ხმაურის შემცირების სტრუქტურის საძირკველამდე (ხიმინჯები)

ხმაურის შემამცირებელი კონსტრუქციების მშენებლობის საუკეთესო პრაქტიკა გვთავაზობს 2 მტავარ მეთოდს:

ა) **ხმაურისაგან დამცავი მზა კედლები** შერჩეულია ფასის ან სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, **საბურღი პილინგი** გამოყენებულია ხმაურისგან დამცავი მზა კედლების გასამაგრებლად – ველზე მონტაჟის საუკეთესო პრაქტიკული დამხმარე სახელმძღვანელო, რკინაბეტონის მწარმოებელი ეროვნული ასოციაცია, აშშ (NCPA)-დანართი 4 თან ერთვის ამ ანგარიშს.

ამ სახელმძღვანელოში მოცემული საუკეთესო პრაქტიკა ეფუძნება აშშ-ის სხვადასხვა სამშენებლო სტანდარტებს, , რომელიც ფართოდ გამოიყენება საერთაშორისო დონეზე. რეკომენდებულია, რომ ამ სტანდარტებით ხელმძღვანელობდეს ხმაურის შემამცირებელი კონსტრუქციების მშენებელ-ინჟინერი და მოიცავდეს:

- AASHTO R20 – გზატკეცილის ხმაურის გაზომვის სტანდარტულ პროცედურებს
- FHWA - გზატკეცილის ხმაურის ბარიერის დაპროექტების სახელმძღვანელოს
- NPCA - ხმაურის შემამცირებელი კედლების საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელოს

- NPCA ხმაურის შემამცირებელი კედლების ტექნიკურ ბროშურას.

გრუნტის განთავსებისა და გამკვრივებისთვის, სახელმძღვანელოში რეკომენდირებულია „მსუბუქი წონის დანადგარების გამოყენება ისე, რომ მძიმე ტექნიკის მუშაობით გამოწვეულმა ვიბრაციამ კედელი არ დააზიანოს“.

სხვა რეკომენდაციები, დაკავშირებული ხმაურის შემარბილებელ სტრუქტურასთან, მოცემულია FHWA ავტომაგისტრალის ხმაურის შემამცირებელი ბარიერების სახელმძღვანელოში, აშშ, ტრანსპორტის დეპარტამენტი, გზატკეცილის ფედერალური ადმინისტრაცია, FHWA-EP-00-005 DOT-VNTSC-FHWA-00-01, PB2000-105872. სახელმძღვანელოში დეტალურადაა განმარტებული ხმაურის ბარიერების ტიპები და აკუსტიკური შესაძლებლობები, ხმაურის ბარიერების მასალა და ზედაპირის მოვლა, კონსტრუქციის, დრენაჟის, ინსტალაციის, მოვლა-პატრონობის, ფასის, ესთეტიკის, ეფექტურობის შეფასებები და რეკომენდაციები, რომელიც უნდა იქნეს გათვალისწინებული მათი დაპროექტებისას. . სახელმძღვანელოს მიხედვით ბეტონის საძირკველი (იხილეთ სურათი 24) მიჩნეულია, როგორც სათანადო არჩევანი.





ნახაზი 25: ბეტონის საძირკვლის გაგრძელებული და გაფართოებული ძირის მაგალითები

---

[1] იხილეთ გვერდი 5 - NCPA სახელმძღვანელო.

[2] იხილეთ FHWA სახელმძღვანელო, გვერდები 4 და 13.

ბეტონის მყარი საძირკველის აშენება საჭიროებს ზედაპირული გათხრითი სამუშაოების ჩატარებას, რომლებიც არ მოითხოვს მძიმე დანადგარების გამოყენებას, რომელმაც შეიძლება ყურადსაღები დონის ვიბრაცია გამოიწვიოს.

პილინგის მიერ გამოწვეული ვიბრაცია: მონაცემები დანადგარების მიერ გამოწვეული ვიბრაციის ემისიის შესახებ, რომელიც ჩვეულებრივად გამოიყენება ხმაურისაგან დამცავი კონსტრუქციების მშენებლობისას ხელმისაწვდომია მეთოდოლოგიურ წყაროებში, რომელიც მოცემულია ცხრილში 16. მშენებლობით გამოწვეული ვიბრაცია ძირითადად შეფასებულია ნაწილაკების მაქსიმალური სიჩქარით (PPV). ცხრილში 16 მოცემულია ტიპიური ვიბრაციის დონეები, წარმოდგენილი დანადგარების სახეობის მიხედვით. თვალსაჩინოა, რომე ვიბრაციის გავრცობის არეალი ფართოა, მაგრამ ეს ცხრილები იძლევა საკმაოდ ზუსტ შეფასებას ნიადაგის მდგომარეობის ფართო სკალიოსთვის. თუმცა, მიუხედავად ნიადაგის თავისებურების პარამეტრებისა, ნათელია რომ მხოლოდ ხიმინჯის ბურღი არის ერთადერთი საშუალება, რომელიც წარმოშობს წყაროს უფრო ძლიერ ვიბრაციას, ვიდრე დასაშვები 105dB მიღების წერტილში. როგორც ცხრილში 16 ნაჩვენები , სხვა დანადგარები ვერ წარმოქმნიან ისეთ ვიბრაციას, რომელიც თანაბარ ან დასაშვებ ნორმაზე მაღალია.

Equipment		PPV at 25 ft (in/sec)	Approximate L_v* at 25 ft
Pile Driver (impact)	upper range	1.518	112
	typical	0.644	104
Pile Driver (sonic)	upper range	0.734	105
	typical	0.170	93
Clam shovel drop (slurry wall)		0.202	94
Hydromill (slurry wall)	in soil	0.008	66
	in rock	0.017	75
Large bulldozer		0.089	87
Caisson drilling		0.089	87
Loaded trucks		0.076	86
Jackhammer		0.035	79
Small bulldozer		0.003	58
* RMS velocity in decibels (VdB) re 1 μinch/second			

ცხრილი 16. ვიბრაციის წყაროს დონე სამშენებლო დანადგარებისათვის - გაზომილი მონაცემები (წყარო: საავტომობილო გზის მშენებლობას დროს ხიმინჯებისაგან გამოწვეული მიწის ვიბრაციები , D.J. Martin, დამატებითი ანგარიში 544, დიდი ბრიტანეთი, გარემოს დაცვის დეპარტამენტი, ტრანსპორტის დეპარტამენტი , 1980)

სამშენებლო დანადგარების ვიბრაციის ემისიის მონაცემები ხელმისაწვდომი არაა დანადგარების ბაზაში, აქედან გამომდინარე მიღებულია, რომ გამოყენებულ იქნას ლიტერატურაში მოცემული კოეფიციენტები. როგორც მოსალოდნელია, ხიმინჯის ბურღი წარმოქმნის ძალიან ძლიერ ინდუცირებულ ვიბრაციას. ხიმინჯის ბურღის ვიბრაციის ამპლიტუდის (სიჩქარე) უმაღლესი მნიშვნელობა არის **1.518 წამში** ,რაც შეესაბამება **38.35მმ/წმ**.

ცხრილში 17 მოცემულია დანადგარებისგან გამოწვეული ვიბრაციების შედეგები მიმღების დონეზე , რომლებიც მისადაგებულია თითოეულ შენობას.

ცალკეული შენობების ანალიზი

ქვემოთ მოცემული ცხრილი 17 განკუთვნილია მხოლოდ ილუსტრირებისთვის. ცხრილში წარმოდგენილია მოდელირების მონაცემები, რომელებიც შესრულებულია ვიბრაციის ზემოქმედების შესადარებლად, რომელიც წარმოიქმნება ხიმინჯების მონტაჟისას (არასდროს იყო განხილული ან მოთხოვნილი ფონიჭალის ტერიტორიაზე გამოყენებისათვის და არც არის რეკომენდირებული ქვემოთ მოცემულ დასკვნებსა და რეკომენდაციებში).

Building Code	Minimum Distance from the Road (m)	Minimum Distance from the piles (noise mitigation structures) (m)	SOURCE		RECEIVER LEVEL VIBRATION		STRANDARD THRESHOLD
					Main building	Building annex	
			PILE DRIVER (dB)	Ref distance (X0) (m)	DRIVEN PILES	DRIVEN PILES	DIN 4150-3 /9916. impact on buildings (dB)
2	9	6	123.00	7.62	114.00	118.00	105
3	22	19	123.00	7.62	109.93	113.93	105
4	19	16	123.00	7.62	111.49	115.49	105
5a	27	24	123.00	7.62	107.55	111.55	105
5b	27	24	123.00	7.62	107.55	111.55	105
5c	27	24	123.00	7.62	107.55	111.55	105
6	30	27	123.00	7.62	106.22	110.22	105
7	52	49	123.00	7.62	97.63	101.63	105
8	57	54	123.00	7.62	95.84	99.84	105
9a	80	77	123.00	7.62	88.02	92.02	105
9b	80	77	123.00	7.62	88.02	92.02	105
10	87	84	123.00	7.62	85.73	89.73	105

ცხრილი 17. მიმღებთან
სიმულირებული ვიბრაციის
ამპლიტუდის შემაჯამებელი
ცხრილი სტანდარტებთან
შედარებით (DIN 4150-3.)
ხიმინჯის წარმოება

ხიმინჯი წარმოქმნის ვიბრაციის მაქსიმუმ დონეს, განსაკუთრებით ოპერირების დაწყებისა და დახურვის ფაზის დროს და გამოწვეულია ხიმინჯების ვიბრაციის წარმოშობით. ვიბრაციის მაქსიმალური დონე იზრდება მაშინ, როდესაც ხიმინჯის დასამონტაჟებელი ვიბრაციული მანქანა მუშაობს რეზონანსულ სიხშირეზე. სიხშირე დამოკიდებულია ნიადაგის ფენების თავისებურებაზე, საითკენაც ხიმინჯია მიმართული.

როგორც მოცემულია ცხრილში 17, უმეტესი შენობებისთვის, ვიბრაციის იმიტირებული ამპლიტუდა, აღემატება სტანდარტებს. კერძოდ, ხიმინჯი რომ ყოფილიყო გამოყენებული

- შენობები 2, 3, 4, 5, 6 იქნებოდა განსაკუთრებით მგრძნობიარე ვიბრაციების მიმართ, და ასეთი შენობებისთვის სტრუქტურული დაზიანებები მოსალოდნელია.
- შენობები 7, 8, 9, 10 საკმაოდ შორსაა განლაგებული ვიბრაციის წყაროსაგან (49m მეტად), ასე რომ სტრუქტურული ზიანი ხინჯების გამოყენების შემთხვევაშიც კი არაა მოსალოდნელი.

როგორც ზემოთაა აღნიშნული, ფონიჭალაში არც ქვენიადაგის ტიპი არაა საჭირო ხიმინჯებისათვის და არც პილინგია მიჩნეული ან რეკომენდირებული რომელიმე დოკუმენტში ან განხილვებში ხმაურის შემამცირებელი კონსტრუქციების მშენებლობასთან დაკავშირებით ფონიჭალის რაიონში.

FHWA HIGHWAY NOISE BARRIER DESIGN HANDBOOK[3] სახელმძღვანელოში არნიშნულია, რომ ხიმინჯები არის რისკის არიდების საშუალება - იმ რისკის, რომელიც ზემოქმედების სიმულაციის მოდელირებითაა დადასტურებული ცხრილი 17).

ბ) ხმაურის შემამცირებელი კონსტრუქციები წინასწარ დამზადებული მსუბუქი კომპონენტებით დამზადებულია კომპოზიტური/პოლიმერის მასალისაგან. არსებობს ფართო არჩევანი იმისათვის, თუ რომელი შეიძლება იყოს გამოყენებული მათი სტრუქტურული პროფილების მასალის ტიპის, სტრუქტურის კომპონენტების ზუსტი კონფიგურაციის, დამონტაჟების ტიპის, ფასის, ვიზუალური გამჭვირვალობის, სპეციფიური ხმაურის შემაკავებელი სიმძლავრის და ა.შ მიხედვით. იმ შემთხვევაში თუ მსუბუქი წონის კომპოზიტური მასალა იანება შერჩეული, აღმასრულებელმა ინჟინერმა გულდასმით უნდა შეამოწმოს საძირკველი ვიბრაციასთან მიმართებაში.

მსუბუქი ხმაურის შემცირების მსუბუქი სტრუქტურის მაგალითი – სტრუქტურა “AIL ხმაურის შემამცირებელი კედლები ” თანდართულია (იხილეთ დანართი 6: ხმაურის შემამცირებელი კედლები , ხმაურის შემცირებასთან დაკავშირებით საინჟინრო გადაწყვეტილებები)). რეკომენდირებულ წყაროს წარმოადგენს კომპანიის ბროშურა, რომელიც მოიცავს შესაძლო გადაწყვეტილებების მაგალითებს, დამონტაჟების ტექნოლოგიებს საყრდენის ჩათვლით (საძირკველი) და ხსნის ამ ვარიანტების უპირატესობებს. მაგალითისთვის იხილეთ სურათი 25, ხიმინჯების დამონტაჟებასთან დაკავშირებით, რომელიც გამოიყენება ხმაურის შემამცირებელი მსუბუქი ბარიერებისათვის .

მნიშვნელოვანი ინფორმაცია პასუხისმგებლობისაგან განთავსუფლების შესახებ : ბროშურაში “ „AIL ხმაურის შემამცირებელი კედლები „ შესულია ინფორმაცია კონკრეტული პროდუქტის შესახებ, რომელსაც წარმოადგენს კონკრეტული კომპანია. ბროშურა დამოწმებულია და ანგარიშთან თანდართულია მხოლოდ და მხოლოდ ილუსტრირების მიზნით, როგორც ერთერთი მრავალრიცხოვანი მაგალითი და არ

ნიშნავს იმას რომ, საკონსულტაციო ჯგუფი ამოწმებს ან რეკომენდაციას უწევს ამ კონკრეტულ პროდუქტს ან კომპანიას იმ საქმიანობაში, რომელიც დაკავშირებულია ფონიჭალაში ხმაურის შემამცირებელი კონსტრუქციების მშენებლობასთან.

[3] **ხმაურისგან დამცავი მზა კედლები – საველე ინსტალაციების საუკეთესო პრაქტიკული დამხმარე სახელმძღვანელო , ბეტონის მწარმოებელი ეროვნული ასოციაცია, აშშ** (NCPA).FHWA ავტომაგისტრალის ხმაურის ბარიერების სახელმძღვანელო , აშშ , ტრანსპორტის დეპარტამენტი, გზატკეცილის ფედერალური ადმინისტრაცია , FHWA-EP-00-005 DOT-VNTSC-FHWA-00-01, PB2000-105872.



ნახაზი 25: მსუბუქი ხმაურის შემაკავებელი სტრუქტურის საყრდენის(ფუნდამენტი/საძირკველი) მაგალითები

საძირკვლის ფუძე (რომელიც მოცემულია ნახაზზე 25) საჭიროებს ზედაპირულ პილინგს შენობის ურყევი საფუძველის საპირისპიროდ ზემოთხსენებულის შესაბამისად.

მეორე მხრივ, ბურღის პილინგი (ხშირად ასევე მოიხსენიება ჭაბურღილის პილინგი), რომელიც აღიარებულია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაში , როგორც ვიბრაციის გავრცელების უსაფრთხო გამოვლინება, სხვა უპირატესობებზე რომ არ ვთქვათ არაფერი.

ბურღის პილინგს გააჩნია შემდეგი უპირატესობები:
- არ საჭიროებს დამონტაჟებას
- საჭიროა პატარა სამუშაო ადგილი მის განსათავსებელად

- შეიძლება გამოყენებულ იქნას ახლომდებარე შენობების ახლოს
- დაბალი ვიბრაცია და ხმაურის დონე
- არ ახდენს ზეგავლენას გრუნტის წყლებზე
- არ მოითხოვს ხიმინჯის არასაჭირო სიგრძეს
- მიწისქვეშა ღრუ არ ფორმირდება

გაბურღული ხიმინჯები წარმოქმნიან ძალიან დაბალი დონის ვიბრაციას და პრაქტიკაში, ანალოგიურ შემთხვევებში, ვარაუდობენ, რომ საბურღი პილინგით წარმოებული ვიბრაციის დონე უმნიშვნელოა. რეკომენდირებულია ორი განსხვავებული ზომის ლილვის გამოყენება დიამეტრით 40 სმ-დან 60 სმ-მდე. <u>**უფრო მაღალი დიამეტრის პარამეტრები საჭიროებს უფრო ხმაურიანი და მძიმე დანდაგარების გამოყენებას, რაც შენობის მიმართ უფრო ძლიერ ვიბრაციას გამოიწვევს.**</u>

საერთაშორისო პრაქტიკა არ იძლევა ხიმინჯების გაბურღვით წარმოქმნილი ვიბრაციების შესახებ ინფორმაციას და საბურღი დანადგარების მწარმოებელი კომპანიებიც (რომლებიც ვალდებული არიან დაიცვან ვიბრაციის ზღვართან დაკავშირებული რეგულაციები) ირწმუნებიან, რომ ამ სახის ბურღი იწვევს ნულოვან ვიბრაციას. ფონიჭალის შენობებზე საბურღი ხიმინჯების ზემოქმედების მოდელირება შესრულდა ვიბრაციის დონეების ფაქტორიზაციით, რომელიც მიიჩნევა, რომ არის როლერ კომპაქტორის მსგავსი.

მოდელირების შედეგები მოცემულია ცხრილში 18-ში

შენობის კოდი	**(მ)გზიდან მაქ. მანძილ**	**მინ. მანძილი ხინჯებიდან**	**წყარო**		**მიმოიბის ვიბრაციის**	
					მთავარი შენობა	**შენობაზე მიშენება**
		ხიმინჯი (dB)	მანძილი (X0)	გაბურღული	გაბურღული	
2	9	6	104,00	7,62	95,00	99,00
3	22	19	104,00	7,62	90,93	94,93
4	19	16	104,00	7,62	92,49	96,49
5a	27	24	104,00	7,62	88,55	92,55
5b	27	24	104,00	7,62	88,55	92,55
5c	27	24	104,00	7,62	88,55	92,55

6	30	27	104,00	7,62	87,22	91,22
7	52	49	104,00	7,62	78,63	82,63
8	57	54	104,00	7,62	76,84	80,84
9a	80	77	104,00	7,62	69,02	73,02
9b	80	77	104,00	7,62	69,02	73,02
10	87	84	104,00	7,62	66,73	70,73

ცხრილი 18. მიმღებთან
შედარებით სიმულირებული
ვიბრაციების ამპლიტუდის
შეჯამება სტანდარტებთან
შედარებით.(DIN 4150-3) –
ხიმინჯის ბურღვა

შენიშვნა: DIN 4150-3 თანახმად, სვეტი „კატეგორია 2- გრძელი-მოკლე ხანგრძლივობა“ მოიცავს მონაცემებს შენობების კონკრეტული კატეგორიებისთვის მოკლე და გრძელ ვიბრაციებს, რომელიც არის მსგავსი.

ცხრილი 18-ში მოცემული კონსერვატიული მოდელირების შედეგები აჩვენებს, რომ მიმღებ პუნქტებზე წყობის ბურღვის ზემოქმედება უფრო დაბალია, ვიდრე დაზიანების ზღვარი.

16მ და 8მ არის ხინჯის შესაძლო მაქსიმალური სიგრძე (ცხრილი 19).

Pile diameter	40 cm	60 cm
Maximum pile length	16 m	8 m
Bearing Capacity*	300–500 kN	300–600 kN
Device	caterpillar	truck with crane
Daily output	8–10 piles	10–12 piles

* depending on the existing subsoil and the bond length

ცხრილი 19 – გაბურღული ხიმინჯები – 1
გამოსაყენებელი სიგრძე და დიამეტრი

დიამეტრის მაქსიმალური მაჩვენებელი მოცემულია ცხრილში 20, რომელიც ხმაურის საწინააღმდეგო კედლის მშენებლობის დროს შეიძლება იყოს გამოყენებული

შენ ობი ს კო	გზიდან მაქს. ხმაური (m)	მინიმუმ მანძილი ხმაურის შემარბილებელ	ხიმინჯის სახეობა	ხინჯის მაქსიმ უმ დიამე
2	9	6	გაბურღ	6
3	22	19	გაბურღ	6
4	19	16	გაბურღ	6
5a	27	24	გაბურღ	6
5b	27	24	გაბურღ	6
5c	27	24	გაბურღ	6
6	30	27	გაბურღ	6
7	52	49	გაბურღ	8
8	57	54	გაბურღ	8
9a	80	77	გაბურღ	8
9b	80	77	გაბურღ	8
10	87	84	გაბურღ	8

ცხრილი 20.- ხმაურის შემცირების კონსტრუქციისათვის რეკომენდირებული ხინჯების დიამეტრის სახეობები

მიუხედავად იმისად რომ დაანგარიშების მიხედვით შენობები 7,8, 9, 10, დიამეტრი შეიძლება 80სმ-მდე გაიზარდოს, წყაროსა და მიმღებს შორის არსებული დიდი მანძილს გამო. (52- 87 სმ) . 60 სმ შეზღუდვა უნდა დაწესდეს რადგანაც ზემოთხსენებული შენობები სხვა დაზიანებული შეგონების უკან მდებარეობენ.

დასკვნები და რეკომენდაციები ხმაურის შემარბილებელი კონსტურქციების მშენებლობით გამოწვეული ვიბრაციის შესახებ

ამ ნაწილში წარმოდგენილი ანალიზის შეჯამების შედეგად შემუშავებულია შემდეგი რეკომენდაციები:

1. **ხიმინჯების ბურღვა,** როგორც ხიმინჯების მორგების საწინააღმდეგო ქმედება უნდა იყოს გამოყენებული იმ შემთხვევაში თუ აღმასრულებელი ინჟინერი აირჩევს ხიმინჯის საყრდენს როგორც, სტრუქტურის ხმაურის აცილების საშუალებას (ეს შეიძლება იყოს წინასწარ შემუშავებული მსუბუქი წინასწარ დამზადებული კომპონენტებიი, როგორც ხმაურის მოდელირების კვლევაშია რეკომენდირებული). ასეთ შემთხვევაში ხიმინჯის დიამეტრი უნდა შემცირდეს 60 სმ დიამეტრით, რომელიც მთელ სიგრძეზე იქნება აგებული ხმაურის შემამსუბუქებელი კონსტრუქციის გასწვრივ კონკრეტული შენობის წინ.

2. **მიშენების გამაგება (იგივეა რაც ნებაყოფლობითი მიშენება) :** იგივე რეკომენდაციები, რაც გაცემულია სამშენებლო სამუშაოების და საგზაო მოძრაობის მიერ გამოწვეული ვიბრაციების ზიანის შემთხვევაში, ეხება ამ შემთხვევასაც. მიშენებების მდგომარეობების გამო, რომელიც მათი უსახური დიზაინითაა გამოწვეული, პრაქტიკული სირთულეები დაკავშირებულია მიშენებების არასაკმარის უსაფრთხოებასთან, დღიდან მათი აშენებისა, მიშენებები ერთმნიშვნელოვნად უნდა იყოს გამაგრებული. გამაგრებითი სამუშაოების საინჟინრო დიზაინი, რომელიც შესაბამისობაშია NEP Srl-თან შეიძლება იყოს გამოყენებული გამაგრებითი სამუშაოების განხორცილების დროს. შემოთავაზებული მეთოდი ეფექტურია, ყველაზე ეკონომიური და განხორციელებადია მოკლე ვადაში.

იგივე ეხება გზების მშენებლობას და ტექნიკურ მომსახურეობას

3. **შესაბამისობის მონიტორინგი**

სამშენებლო პროცესის შემარბილებელ ღონისძიებებს უნდა გაეწიოს სათანადო მონიტორინგი და უზრუნველყოფილ უნდა იქნეს დაწესებული პარამეტრების დაცვა. ზედამხედველობის სამსახური უნდა შეიცავდეს პრობლემაზე სასწრაფო რეაგირების მექანიზმს და ზედამხედველ სტრუქტურას უნდა გააჩნდეს სამუშაოების შეჩერების უფლებამოსილება, დააფიქსიროს პარამეტრების დარღვევა და სავალდებულო კორექტირების სამუშაოები მოსთხოვოს კონტრაქტორს.

დიზაინის აღმასრულებელი ინჟინრის მიერ გასათვალისწინებელი სტანდარტები უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის რეკომენდირებულ წყაროებს, კონკრეტულად შერჩეულ სტრუქტურებთან და ფუნდამენტებთან მიმართებაში , როგორიცაა : ხმაურისგან დამცავი ქარხნულად დამზადებული კედლები – საველე ინსტალაციების საუკეთესო პრაქტიკული დამხმარე სახელმძღვანელო , რკინა ბეტონის მწარმოებელი ეროვნული **ასოციაცია, აშშ** (NCPA).FHWA ავტომაგისტრალის ხმაურის ბარიერების სახელმძღვანელო , აშშ , ტრანსპორტის დეპარტამენტ, ფედერალური გზატკეცილის ადმინისტრაცია , FHWA-EP-00-005 DOT-VNTSC-FHWA-00-01, PB2000-105872 და ასევე სხვა შესაბამისი სახელმძღვანელოების მაჩვენებლები ან მსგავსი საერთაშორისო სტანდარტები.

7. დასკვნების შემაჯამებელი ცხრილი

მრავალრიცხოვანი სიმულაციების შედეგად მიღებული შედეგების შემაჯამებელი ცხრილი 21

Building Code	Minimum Distance from the Road (m)	VIBRATIONS CONSTRUCTION WORKS (dB)				VIBRATIONS OPERATION CONDITIONS (dB)		VIBRATIONS NOISE MITIGATION (dB)			STRANDARD THRESHOLD DIN 4150-3 /9916. Impact on buildings		
		roller compactor		pneumatic hammer		traffic	traffic	piles		Maximum diameter DRILLED pile (ø cm)			
		main building	annex	main building	annex	main building	main building	main building	main building		category 2 long - short duration (dB)	category 3 short duration (dB)	category 3 long duration (dB)
2	0	82,36	86,36	79,36	83,36	70,62	74,62	95,00	99,00	60	105	100,5	99
3	22	76,93	80,93	73,93	77,93	65,19	69,19	90,93	94,93	60	105	100,5	99
4	15	78,38	82,38	75,38	79,38	66,65	70,65	92,49	96,49	60	105	100,5	99
5a	27	74,67	78,67	71,67	75,67	62,94	66,94	88,55	92,55	60	105	100,5	99
5b	27	74,67	78,67	71,67	75,67	62,94	66,94	88,55	92,55	60	105	100,5	99
5c	27	74,67	78,67	71,67	75,67	62,94	66,94	88,55	92,55	60	105	100,5	99
6	30	73,40	77,40	70,40	74,40	61,66	65,66	87,22	91,22	60	105	100,5	99
7	52	63,00	67,00	60,00	64,00	51,27	55,27	78,63	82,63	80	105	100,5	99
8	57	61,24	65,24	58,24	62,24	49,51	53,51	76,84	80,84	80	105	100,5	99
9a	80	55,49	59,49	52,49	56,49	43,76	47,76	69,02	73,02	80	105	100,5	99
9b	80	55,49	59,49	52,49	56,49	43,76	47,76	69,02	73,02	80	105	100,5	99
10	87	53,22	57,22	50,22	54,22	41,48	45,48	66,73	70,73	80	105	100,5	99

ცხრილი 21. ვიბრაციების შეჯამება რომელიც გზის მშენებლობის, მოქმედების პირობების და ხმაურის შემცირებისათვის საჭირო სტრუქტურების მშენებლობის დროსაა მიღებული

შედეგები, რომელებიც მიღებულია რიცხობრივი სიმულაციების შედეგად, მნიშვნელოვნად დაბალია, ვიდრე შესაბამისი ნორმებითაა დადგენილი (იგულისხმება ხმაურის შეამსუბუქებელი კონსტრუქციების მშენებლობის დროს რეკომენდაციების დაცვა, როგორიცაა პილინგი). გათვალისწინებულია რა ყველა შენობის კონსერვაციის ცუდი მდგომარეობა, კერძოდ მიშენებების, რეკომენდებულია ურბანული გზების და ხმაურის შემამცირებელი კონსტრუქციების ექსპლუატაციის დროს ვიბრაციის მონიტორინგი ზემოთხსენებული რეკომენდაციების გათვალისწინებით იქნას განხორციელებული.

ვიბრაციის მონიტორინგის კამპანიის მიზანია შეამოწმოს ვიბრაციის დონე, რომ ექსპლუატაციის დაწყებამდე მოხდეს კრიტიკული პრობლემის გამოვლენა, ან არსებული ცვლილებების იდენტიფიცირება. ვიბრაციის მონიტორინგი ხელს უწყობს ვიბრაციის ფენომენის შესწავლას და კონტროლის მექანიზმების გამოყენებას სამშენებლო

სამუშაოებისა და საავტომობილო გზების ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა

საგზაო მოძრაობით გამოწვეული ვიბრაციების კვლევა A.C. Whiffin, D.R. Leonard. ტრანსპორტისა და გზების საკვლევი ლაბორატორია, ანგარიში 418. 1971

გზის და საავტომობილო მოძრაობის ზემოქმედება გარემოზე , L.H. Watkins. Routledge. 1981

საგზაო მოძრაობით გამოწვეული ვიბრაციები შენობებთან მიმართებაში . Osama Hunaidi. კანადის ეროვნული კვლევითი საბჭო . ISSN 1206-1220 მშენებლობის ტექნოლოგიების მიმოხილვა, გამოცემა No. 39. June 2000

ISO/FDIS 4866:2009 საერთაშორისო სტანდარტი , მექანიკური ვიბრაცია და ბიძგი - მყარი კონსტრუქციების ვიბრაცია. რეკომენდაციები ვიბრაციის გაზომვის და კონსტრუქციებზე მათი ზემოქმედების შესახებ.

UNI 9614:1990 "Misura delle vibrazioni negli edifici e criteri di valutazione del

disturbo".

UNI 9916:2004 "Criteri di misura e valutazione degli effetti delle vibrazioni sugli

edifici"

DIN 4150-3 "ვიბრაციის უარყოფითი ეფექტი სტრუქტურებზე"

საავტომობილო გზის მშენებლობის დროს ხიმინჯებისაგან გამოწვეული მიწის ვიბრაციები , D.J. Martin, დამატებითი ანგარიში 544, დიდი ბრიტანეთი, გარემოს დაცვის დეპარტამენტი, ტრანსპორტის დეპარტამენტი , 1980

ვიბრაციები სამშენებლო მოქმედებების დროს, J.F. Wiss, Journal of Construction Division, ამერიკის სამოქალაქო ინჟინრების ასოციაცია, 100, 1974.

საგზაო მოძრაობებით გამოწვეული ვიბრაციების კვლევა , A.C. Whiffin, D.R. Leonard. ტრანსპორტისა და გზების კვლევითი ლაბორატორია, ანგარიში 418. 1971.

თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზა , DOHWA საპროექტო დოკუმენტები.

ხმაურისაგან დამცავი მზა კედლები – საველე ინსტალაციების საუკეთესო პრაქტიკული დამხმარე სახელმძღვანელო , რკინა ბეტონის მწარმოებელი ეროვნული

ასოციაცია, აშშ (NCPA).FHWA ავტომაგისტრალის ხმაურის ბარიერების სახელმძღვანელო , აშშ , ტრანსპორტის დეპარტამენტი, ავტომაგისტრალის ფედერალური ადმინისტრაცია , FHWA-EP-00-005 DOT-VNTSC-FHWA-00-01, PB2000-105872.

AIL SOUND WALLS, ხმაურის შემცირების საინჟინრო მიდგომები

8. დანართები

დანართი 1: შემოსული მონაცემები (მოდელში შეყვანილი)

დანართი 2: არსებული გზიდან ვიბრაციის გაზომვის თავდაპირველი მონაცემები - ცალკე დანართი

დანართი3: მ ო დ ე ლ ი რ ე ბ ი ს შ ე დ ე გ ე ბ ი (მ ო ნ ა ც ე მ თ ა ცხ რ ი ლ ე ბ ი)

დანართი 4: საველე ინსტალაციის საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელო, რკინაბეტონის მწარმოებელი ეროვნულია ასოციაცია, აშშ (NCPA).

დანართი 5: FHWA გზატკეცილის ხმაურის შემამცირებელი ბარიერის დიზაინის სახელმძღვანელო, U.S. აშშ ტრანსპორტის დეპარტამენტი , ავტომაგისტრალის ფედერალური ადმინისტრაცია FHWA-EP-00-005 DOT-VNTSC- FHWA-00-01, PB2000-105872.

დანართი 6: AIL ხმაურისაგან დამცავი კედლები, ხმაურის შემამცირებელი კონსტრუქციების საინჟინრო მიდგომები *(საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი).*

შენიშვნა: ქართულ ენაზე შესრულებული წინამდებარე თარგმანი მიახლოებითია, არ წარმოადგენს ოფიციალურ დოკუმენტს და არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც მტკიცებულება. ტექსტში არსებული უზუსტობების ან შეცდომების აღმოჩენის შემთხვევაში, თარგმანი უნდა გადამოწმდეს დედანთან, რომელიც შესრულებულია ინგლისურ ენაზე და ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ- მისამართზე: http://mdf.org.ge/?site-lang=en&site-path=documents/&id=355